ფინანსური ანგარიშგება

შპს ჯნს ჯორჯია (ს/კ: 415082145)

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ჯნს ჯორჯია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	2019 წლის 31 დეკემბერი (ლარი)	2018 წლის 31 დეკემბერი (ლარი)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	153,591	177,117
არამატერიალური აქტივები	2,510	2,828
დეპოზიტები მოკავშირე საწარმოებში	-	936,810
გაცემული სესხები	600,000	-
	756,101	**1,116,755**
მოკლევადიანი აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	153,492	3,686,464
ფული საბანკო ანგარიშებზე	9,006,487	3,131,699
	9,159,979	**6,818,163**
სულ აქტივები	**9,916,080**	**7,934,918**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი	100	100
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	8,947,342	4,637,934
	8,947,442	**4,638,034**
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	968,638	3,296,884
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**9,916,080**	**7,934,918**

ალექსანდრე ჩაჩანიძე
ალექსანდრე ჩაჩანიძე
დირექტორი

ალექსანდრე გაფრინდაშვილი
ფინანსური მენეჯერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს ჯნს ჯორჯია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	2019, ლარი
შემოსავლები	65,785,299
გაწეული დანახარჯი	(59,537,973)
საერთო მოგება	**6,247,326**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,104,200)
ცვეთა და ამორტიზაცია	(35,741)
კურსთაშორისი მოგება/ზარალი	(3,261)
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი	(5,243)
მოგება დაბეგვრამდე	**5,098,881**
მოგების გადასახადის ხარჯი	(118,421)
სულ წლის მოგება და სრული შემოსავალი	**4,980,460**

ალექსანდრე ჩაჩანიძე
დირექტორი

ალექსანდრე გაფრინდაშვილი
ფინანსური მენეჯერი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს ჯნს ჯორჯია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**100**	**4,637,934**	**4,638,034**
2019 წლის მოგება	-	4,980,460	4,980,460
გადახდილი დივიდენდი	-	(671,052)	(671,052)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**100**	**8,947,342**	**8,947,442**

ალექსანდრე ჩაჩანიძე
დირექტორი

ალექსანდრე გაფრინდაშვილი
ფინანსური მენეჯერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს ჯნს ჯორჯია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	5,098,881
კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	35,741
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	3,532,972
ცვლილება გადახდილ დეპოზიტებში	936,810
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(2,328,246)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან	**7,276,158**
გადახდილი მოგების გადასახადი	(118,421)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**7,157,737**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(11,897)
სესხის გაცემა	(600,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(611,897)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გადახდილი დივიდენდები	(671,052)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(671,052)**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა (2019)	**5,874,788**
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში (2019)	**3,131,699**
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს (2019)	**9,006,487**

ალექსანდრე ჩაჩანიძე
დირექტორი

ალექსანდრე გაფრინდაშვილი
ფინანსური მენეჯერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯნს ჯორჯია დაფუძნდა 2011 წელს. მისი იურიდიული მისამართია ქ. ფოთი, ლარნაკას ქ.# 12. კომპანიას აქვს ოფისები თბილისსა და ფოთში. კომპანია ახორციელებს საგზაო, სარკინიგზო და საზღვაო საკონტეინერო ტრანსპორტირებას. კომპანიაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 19 თანამშრომელი.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკოტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების მსს ფასს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება

განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

კომპიუტერული ტექნიკა	- 5-7 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	- 5-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 7-10 წელი
არამატ. აქტივი	- 10 წელი

3.4 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.5 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 *მოგებიდან გადასახადებით* არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.6 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი წარმოიქმნება მომსახურების შესრულებიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული, კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების მიწოდებით.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია, გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

3.7 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები მოიცავენ ფულს საბანკო ანგარიშებზე (კომპანია ნაღდი ფულით ოპერაციებს არ ახორციელებს).

4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ჯგუფი	31.12.2018 საბალანსო ღირებულება	2019 წ. შემოსვლა	2019 წ. გასვლა	2019 წ. დარიცხული ცვეთა	31.12.2019 საბალანსო ღირებულება
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	19,108	4,847	-	9,343	14,612
კომპიუტერული ტექნიკა	11,588	7,050	-	6,210	12,428
მსუბუქი ავტომობილები	146,421	-	-	19,870	126,551
ჯამი	**177,117**	**11,897**	-	**35,423**	**153,591**

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 14-90 დღიანია, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი. 365 დღეს გადასცილდა სავაჭრო მოთხოვნები 5243 ლარის ოდენობით. ხელმძღვანელობა მოთხოვნების დაფარვიანობას აფასებს წარსულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლოა მათი დაფარვის რეალური მაჩვენებლები განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მოლოდინებისგან.

6 2019 წ. ადმინისტრაციული ხარჯები (ლარი)

შრომის ანაზღაურება	877,402
საიჯარო ქირა	109,670
ოფისის ხარჯები	37,326
ტელეკომუნიკაცია	18,240
მივლინების ხარჯები	57,031
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,796
სხვა საგადასახადო ხარჯები	1,735
ჯამი	**1,104,200**

7 კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)

მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან მოთხოვნებზე:	23,855
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან ვალდებულებებზე:	(27,116)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან:	(3,261)